



ტექნიკური დავალება

ორი ენერგეტიკული ობიექტის ენერგო მომარაგების
მოკვლევა/ტესტირება/მარკირება/პროექტირება

საქართველოს ბანკის ორი ობიექტი, მისამართებით:

- a. ქალაქი თბილისი, გიორგი ჩიკვაძის ქუჩა, N 4
- b. ქალაქი თბილისი ალექსანდრე პუშკინის #3

ობიექტების ძირითადი ელ. მოწყობილობების აღწერა:

- a. ობიექტის ელ. მომარაგება ხდება ორი სხვადასხვა $6kV$ ფიდერის მეშვეობით. $6kV$ – ის ც.გ.პ.-ში მოწყობილია ATS (ხუთი უჯრედი *ABB UniSec* მართვის და დაცვის აპარატურით.). მიმდებარე პერიმეტრზე განთავსებულია ორი ცალი კ.ს.პ. $6/0.4kV$ ტრანსფორმატორით რომელთა სიმძლავრეა $630kVA$ (ერთი მუშა, ერთი ცივი რეზერვი).

0.4kV-ის მხარე მოიცავს შემდეგ მოწყობილობებს:

1. სამი გენერატორი (*CHukurova* , *AXA*) $500 kVa$, $500 kVa$ და $550 kVa$ – სიმძლავრით;
 2. ძალოვანი $0.4kV$ ფარები და ATS გენერატორებსა და ქსელს შორის;
 3. გენერატორებიდან მომხმარებლისკენ bypass სისტემა;
 4. სტაბილიზატორი;
 5. შიდა გამანაწილებელი $0.4kV$ ფარები და დუბლირებული ATS-ს (*Lovato*) ;
- b. მეორე ობიექტი იკვებება, ერთი $0.4kV$ და ერთი $6kV$ ფიდერის საშუალებით. პერიმეტრზე განთავსებულია გარე დადგმულობის $6/0.4kV$ კ.ს.პ. ერთი ვაკუუმური ამომრთველით *ABB UniSec* მართვის და დაცვის აპარატურით. ერთი $630kVA$ სიმძლავრის ტრანსფორმატორი.

0.4kV-ის მხარე მოიცავს შემდეგ მოწყობილობებს:

1. ორი გენერატორი (*SDMO* , *AXA*) $330 kVa$ და $375 kVa$ – სიმძლავრეებით;
2. გარე ძალოვანი ორი ATS;
3. გენერატორებიდან მომხმარებლისკენ bypass სისტემა;
4. შიდა გამანაწილებელი $0.4kV$ ფარები და სამი მოქმედი ATS-ს (*Lovato*) ;

ორივე ობიექტზე საშუაოები უნდა ჩატარდეს რამოდენიმე ეტაპად :

- ძალოვანი $0,4kV$ ქსელის მოკვლევა და მარკირება;



- მეორადი წრედების მოკვლევა და მარკირება;
- საკომუტაციო აპარატურის ტესტირება და საიმედოობის დადგენა;
- ტესტირებისას აღმოჩენილი უწყისივრობების აღმოფხვრა;
- შესწავლილი ენერგეტიკული მომარაგებისთვის საჭირო ანგარიშების ჩატარება და აგარიშების შესაბამისობის დადგენა მოცემულ ძალოვან მკვებაჲ ქსელთან და აპარატურასთან;
- წინადადების შემუშავება არსებული სისტემების საიმედოობის გასაზრდელად;
- სრული პროექტირება;

დამატებითი მოთხოვნები:

1. მარკირება და ტესტირება უნდა ჩატარდეს მხოლოდ 0.4kV-ის მხარეს;
2. პროექტი უნდა მოიცავდეს სრულ ელ. მომარაგებას, როგორც 0.4kV ასევე 6kV- ის მხარეს;
3. შეთავაზების გაკეთებამდე ორივე ობიექტზე მოხდეს ვიზიტი და სამუშაოს მოცულობის შესწავლა;
4. სამუშაოების დაწყებამდე, საქმის წარმოების და პროექტირების გეგმა-გრაფიკი;
5. შემსრულებელმა, სამუშაოები, საჭირო გამორთვები და ტესტირებები უნდა აწარმოოს დამკვეთთან შეთანხმებით.
6. ყველა სამუშაო უნდა ჩატარდეს საქართველოში მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.
7. შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ გამოყენებული მოწყობილობების ყველა ტექნიკური დოკუმენტაცია (ტექნიკური პასპორტი, ექსპლუატაციის სახელმძღვანელო და ა.შ.).
8. შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული პროექტის DWG, PDF და ბეჭდური ვერსიები.